№ 111
პარასკევი, 29 მაისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 111
პარასკევი, 29 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## საზაფხულო ახალ თეატრში

პირველად ქართული წარმოდგენა
**კვირას, 31 მაისს,**
ქართულ თეატრის არტისტები ვ. **აბაშიძის** და **ყიფიანის** მონაწილეობით გამართავენ მხოლოდ ერთს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება

I

## და-ძმა

დრამა 5 მოქმ. გ. გუნიასი.

II

## ბარაქალა მასწავლებელო

კომ. I მოქმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, საყვარელიძე, ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ.
ადგილების ფასი დაკლებულია
ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი.
დასაწყისი 8½ საათზე. ადმინისტრ. ივ. მჭედლიშვილი

## ომნიბუსების მიმოსვლა
## ტფილისსა და თელავს შუა

ი. ს. ტერ-სარქისიანისა

ომნიბუსი გადის ტფილისიდგან დილის 6 საათზედ
„ „ „ თელავიდგან დილის 6 საათზედ
„ „ ჩამოდის თელავში ღამის 6½ საათზედ
„ „ „ ტფილისში ღამის 6½ საათზედ

ბილეთები იყიდება ავლაბარში ომნიბუსების კანტორაში, ნუნუფაროვის ქარვასლაში, ქალაქის სასწორის პირდაპირ, საიდგანაც დადიან დილიჟნები და ი. ს. ტერ-სარქისიანის სამოსწავლო ნივთების მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ.
**ტელეფონები: კანტორისა № 568, მაღაზიისა № 142.**
**ფასი ეტლით სამოგზავროდ კაცის თავზედ 3 მ. 80 კ.** (4—93—1)

## მეაგარკეთა საყურადღებოდ

**ქ. თელავში** ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7-ს თიბათვიდგან 1-ს ენკენისთვემდის) **გაიცემა ქირით** სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, საავარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი.
მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили.
(15—უ.—7)

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

## ბუნება და ცხოვრება

ილ. ალხაზიშვილისა
**ფასი 60 კაპ.**
ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 48 კ.
ათის ცალის გაგზავნა დირს 37 კ. (20—84—5)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა
ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 31 მაისს, დილის 10 საათზედ, ბანკის დარბაზში დანიშნულია ხელმეორედ

წ ლ ი უ რ ი

## საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:
ანგარიში 1897/98 წლისა.
არჩევა გამგეობის 7 წევრისა და სამის კანდიდატისა.
არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
არჩევა საზოგადოების წევრებისა.
რამდენი წევრიც უნდა დაესწროს ამ კრებას, იგი კანონიერად ჩაითვლება. (4—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო**. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.
**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.
**ი. თ. შროტასხევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.
**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.
ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(წ)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,
**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**
**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
**ტელეფონი** № 567.
(50—80—23).

## ახალი ამბავი

⁂ ოთხშაბათს, 26 მაისს, ქართულს თეატრში გამართულმა ბ-ნ ბალანჩივაძის კონცერტმა მშვენივრად ჩაიარა. განსაკუთრებით მოეწონა საზოგადოებას „თამარ ცბიერი" ოპერიდგან შესრულებული ორი ადგილი. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო კონცერტს. ბ-ნს ბალანჩივაძეს საზოგადოებამ მიართვა ყვავილებით გაკეთებული ქნარი.

⁂ გუშინ, 28 მაისს, ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს ქაღალდი 80,000 მანეთის სესხის აღების ნება-დართვის შესახებ, საბჭოს დადგენილების თანახმად, ცხენის რკინის გზისათვის საჭირო მასალისა და ცხენების შესაძენად, რომელსაც ამ გზას გამოისყიდის უსახელო საზოგადოებისაგან.

⁂ გუშინ, 28 მაისს, საბჭოს დარბაზში საერთო კრება ჰქონდათ ტფილისის ხელოსანთ. კრებაზედ, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ ხელოსნობის მოწმობის მიცემის დროს გარდახდეთ მხოლოდ ის, რაც დადგენილია კანონითაო. კრებაზედვე აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ 500 მან. იქმნას გადადებული ხელოსანთა 45 ბავშვის აღსაზრდელად საქალაქო სასწავლებლებში, რომელთაგან უნდა აღიზარდოს 10 ქართველ ხელოსნისა, 10 რუსისა, 10 სომეხისა, 5 მაჰმადიანისა, 5 ებრაელისა და 5 დანარჩენ ეროვნებისაო. ეს წინადადება წარუდგინა ხარატმა პ. ა. გორჩაკოვმა და შეწყნარებულ იქმნა ხმის უმეტესობით. საერთოდ ეს კრება ყოველ საგნის გარდაწყვეტის წინად ათვალიერებდა კანონს და კანონით ხელმძღვანელობდა. ეტყობა, სახელოსნო გამგეობამ თავი დაანება სიბნელით მოცულ გზაზედ სიარულს და წესიერს გზას დაადგა.

⁂ როგორც ტფილისის საგუბერნიო ბეითალის მიერ მიღებულის ცნობებიდგანა სჩანს, სოფ. მულანლოში კამეჩებს საქონლის ჭირი გასჩენიათ. საქმის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ჭირი სალიანიდგან მორეკილ საქონელს შემოუტანია მულანლოში. ამის გამო გუშინ, 28 მაისს, ტფილისის გუბერნატორმა მიჰმართა ბაქოს გუბერნატორს და სთხოვა, რაიმე ღონე იღონეთ, რომ საქონლის ჭირი სხვა გუბერნიებშიაც არ გავრცელდესო.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე შუამდგომლობა აღვძარ იმის შესახებ, რომ ნება-დართულ იქმნას კუკიაში საქალაქო სამკურნალოს დაარსება.

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ბელგიის იმ ამხანაგობის წარმომადგენელი, რომელსაც განზრახვა აქვს რკინის გზა გაიყვანოს ტფილისიდგან კოჯრამდის. წარმომადგენელს ჰსურს მოილაპარაკოს, ვისთანაც ჯერ არს, და ნება-რთვა აიღოს ხსენებულის გზის გასაყვანად.

⁂ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების სახელების დარქმევა, მე-3 ნაწილის 19 ქუჩას დაუტოვა ძველი სახელწოდება, ხოლო 14 შეუცვალა, სახელდობრ წყლის საზიდ ქუჩას დაარქვა თეატრის ქუჩა, ბანკის ვიწრო ქუჩას - თეატრის ვიწრო ქუჩა, ყრუ ვიწრო ქუჩას—სტამბისა, ალექსანდრეს ქუჩას მადათოვის კუნძულიდგან გიორგის ქუჩამდე—ხაზინისა, ძველ ფოსტისას—ნერსესიანისა, 1 ორბელიანისას ბარონის ქუჩამდე—ოგლობჟინისა, პატარა წყლის საზიდ ქუჩას—მტკვრისა, ძველ გიმნაზიის ვიწრო ქუჩას—მუზეუმისა, 1 სამხედრო ვიწრო ქუჩას—წისქვილისა, პუშკინის ბაღისა და ზუბალოვის სახლის შუა მიმავალ ქუჩას მართლმადიდებელთა სემინარიამდის—შტაბისა და პუშკინის ბაღისა და თამამშევის მემკვიდრეთა ქარვასლის შუა მიმავალ ვიწრო ქუჩას—პუშკინის ვიწრო ქუჩა.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მომავალ სამოსწავლო წლისათვის ისეთი წესები შეიმუშავოს, რომლითაც საერო სასწავლებლების დირექციას უფლება მიეცემა ნება დართოს ხოლმე სასწავლებლებთანა და ქარხნებთან მუშათათვის პრაქტიკული კურსები იქმნას დაარსებული.

⁂ ტფილისის ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოებამ ახალი წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ რკინის გზა ქალაქმა არ შეისყიდოს და ისევ საზოგადოების ხელში დარჩეს 32 წელიწადსაო. საზოგადოება ჰპირდება, რომ ვაგონები ცხენების მაგიერ ელექტრონით ამოძრაოს. ამასთან საზოგადოება თანახმაა ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი იხადოს ამ რიგად: პირველ 10 წლის განმავლობაში ქალაქი მიიღებს მთელის შემოსავლის 5%, შემდეგ 5 წელიწადს—6%, ხოლო შემდეგ 8,8 და 10%, ყოველს შემთხვევაში საზოგადოება პირობასა სდებს, ის ნაწილი, რაც ქალაქის სასარგებლოდ იქმნება გადადებული, 30,000 მან. ნაკლები არ იყოს. 10 წლის შემდეგ ქალაქს ნება ექმნება გამოისყიდოს ელექტრონის რკინის გზა. საზოგადოება თავისს წინადადებაში ამბობს, რომ რამდენსამე ახალს შტოსაც გავიყვანო.

⁂ მეფუტკრეთა კრების მოსაწყობად, რომელიც გამართულ იქმნება კავკასიაში 1898 წელს, დაარსებულ იქმნება 4 ბიურო, სახელდობრ: 1) პეტერბურგში, რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოების საბჭოსთან, 2) ტფილისს—კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან, 3) ეკატერინოდარს და 4) კავკაზში.

⁂ დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც სამოსწავლო უწყებაში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ: აქვთ თუ არა უფლება გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში სწავლის ფულიდგან განთავისუფლებულ იქმნენ, ამ სასწავლებელთა წესდების მე-31 §-ის ძალით, იმ ქალთა შვილები, რომელთაც საერო განათლე-

ბის სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებებში უმსახურნიათ არა ნაკლებ 10 წლისაო. ამ საგნის განხილვა მიენდო საერო განათლების სამინისტროს, რომელმაც განმარტა, რომ 31 §-ს მხედველობაში ჰყავს მხოლოდ მასწავლებელ კაცთა შვილები, რადგან ყოველ ამ გვარ შემთხვევის დროს ბავშვთა ამა თუ იმ უფლების გამოსარკვევად კანონს მხედველობაში აქვს მხოლოდ მამის სამსახური და არა დედისაო.

⁂ „Чер. Вѣст.“ სწერს, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიამ მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან საყოველთაო ბრძანება იმის შესახებ, რომ საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიის ნება დაურთველად არავის მისცეთ ნება სახელმწიფო და საზოგადოებრივის მიწის თხრა საარქეოლოგიო საკვლევ-საძიებლად, არც კერძო კაცებსა და არც საარქეოლოგიო კომისიის წევრებსა და თანამშრომლებს, თუნდა ამ უკანასკნელთ მთავრობისაგან დახმარება ეძლეოდეთ საარქეოლოგო გამოკვლევებისათვის.

⁂ გაზ.-ს „ახ. მიმ.“ სწერენ თემირ-ხან-შურიდგან: ხმა გავრცელდა, რომ დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორს გენ.—მ. თავ. ა. ა. ბარიათინსკის უმაღლესს თანამდებობას აძლევენო.

⁂ გაზ. „ტ. ფურ.“ სწერენ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროში ლაპარაკი აღიძრა სოხუმის სადცელს სასოფლო-სამეურნეო სადგურის გაუქმების შესახებო.

⁂ ს. ახმეტა, (თიანეთის მაზრა). ეს მესამე წელიწადია რაც ამ სოფელში არსებობს სასოფლო საავადმყოფო და აფთიაქი. ამ ხნის განმავლობაში ხალხს სულ სამი ავადმყოფი არ დაუწვენია, აფთიაქიდგან-კი, თუმცა პირველ ხანებში გამოჰქონდათ წამლები, მაგრამ ეხლა ამასაც შემოსწყრენ. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა არის ფერშლების ანგაარება და აფთიაქის სიღარიბე. ეს დალოცვილები არა სჯერდებიან მთავრობისაგან დანიშნულს ჯამაგირს და მეტს ლუკმას ეძებენ. ისე არ წავლენ ავადმყოფთან, რომ ფული არ გამოართვან. ჩვენს გლეხ-კაცობას-კი, თუმცა სწამს ნასწავლი ექიმები და მათი წამლობა, მაგრამ ფულის გაღება ემძიმება. თუნდაც რომ ექიმისთვის ორი სამი აბაზი არ დაჰზოგოს, წამლების ყიდვა გაუძნელდება, ფულს ვერ გაიმეტებს. აქაურ აფთიაქიდგან თუმცა ნება აქვს უფასოდ გამოიტანოს წამლები, მაგრამ რას გამოიტანს, როდესაც შიგ არა მოეპოვება რა. ასე გასინჯეთ, ყველაზედ საჭირო და ძლიერ გავრცელებული წამალი ქინა-ქინაც კი არ მოეპოვებათ. აფთიაქის ასეთი სიღარიბე და ფერშლების ანგაარება ვერაფერს სამსახურს გაუწევს გლეხ-კაცს. დრო არის მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და დაავალოს, ვისიც ჯერ არს, რომ ჯეროვანი მეთვალყურეობა დაიჭირონ როგორც საავადმყოფოს მდგომარეობასა, აგრეთვე ფერშლების მოქმედებაზედ.

⁂ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წლიურ კრებაზედ, 20 მაისს არჩეულ იქნენ: საზოგადოების თავმჯდომარედ—ფარმაციის მაგისტრი ფ. კ. ოტტენი, თავმჯდომარის ამხანაგად—ლ. ა. კამაცკი, კასსირად—კ. ს. სარქისოვი, ბიბლიოთეკრად—კ. ბ. ენიკოლოფოვი, გამგეობის წევრების კანდიდატებად—ე. ო. ჯოროგოვი, ვ. კ. პრეისბერგი და ფ. კ. ერნი და სარევიზიო კომისიის წევრებად: ო. რ. ზემმელი და ა. ი. მელიქ-ნუბაროვი.

⁂ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს აკაკის „კრებულის“ მე-IX ნომერი. წიგნი შემდეგის შინაარსისაა: 1 განყოფილება—1, ტუჩ-მარჯანა—ლექსი, 2, ჩემი თავ გადასავალი, 3, შენიშვნა, 4, წვრილ-წვრილი ამბები: მოტყუებული ტერა, მოჩვენება, ცეცხლი თუ ცეცხლი, წმიდა გიორგის რაზმი, 5, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, მეორე განყოფილება—6, სოლომონ პირველი დიდი—იმერეთის მეფე. მესამე განყოფილება: 7, ანდაზები, 8, მარგალიტა, ზღაპარი, 9, დარდიანი, 10, სოლომონ ბრძენი; 11, მკითხავი; 12, ამირანი; 13, როსტომი; 14, მკვეხარა; 15, სოვდაგარი; 16, პირ-მყრალა.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. ჩაილურის მცხოვრებელმა ნიკო გზირიშვილმა ჩხუბის დროს თავი გაუტეხა თავ. ლუარსაბ ჩერქეზიშვილს, ჩერქეზიშვილი მძიმედაა თურმე დაშავებული.

⁂ მე-II ნაწილის პოლიციამ გაჰგზავნა ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში მ. ებატოვის მიერ ავლაბრის მოვაჭრე მ. ხალათოვისაგან ნაყიდ წითელ ღვინის ნიმუში შესამოწმებლად და აღმოჩნდა, რომ წითელის ფერის მისაცემად ვაჭარს უხმარია ანილინის საღებავი, რომელიც დიდად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ გვარი შემთხვევა არა ერთი და ორი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის არ იქმნენ დასჯილნი ასეთის სიყალბისათვის თავგასული სირაჯები და ისინიც არ ანებებენ თავს ღვინის შეღებვას მავნებელ საღებავებით.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ დეპეშაში შეცდომით გვქონდა: „სამხედრო ოლქის ჯარის აფიცერმა თავადმა ივანე გურიელმა რევოლვერი ესროლა და პირში დასტრა თავადი ვარდენ გურიელი“. უნდა იყოს: „სამხედრო ოლქის ჯარის აფიცერმა თავადმა ივანე მელიქიშვილმა რევოლვერი ესროლა“ და სხვა.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. საგარეჯო.** საგარეჯო ერთი უდიდესი სოფელთაგანია გარეთ კახეთში—ივრის ხეობაზედ, აქ მოსახლობს თითქმის 1000 კომლი ქართველი და სომეხი. ბევრს ეხსომება, რომ ამ ოცის წლის წინად საგარეჯოში დაარსეს სასოფლო დეპო და ბანკი განსვენებულის ალ. ცხვეთაძის მეთაურობით; რამდენიმე წელიწადი ორივე დაწესებულების საქმე რიგიანად მიდიოდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ბოლოს და ბოლოს მამასახლისმა შურამ მტრობამ, შენ ჩემობამ დეპო-ბანკის საქმე უგულოდ დაატრიალა. საქმე იქამდის გასამაგრდა, დაჭკარგა მრავალ მნიშვნელოვანება და ივრის ხეობის მკვიდრნი იქამდის დაშინა წამხდარმა საქმემ დეპო ბანკისამ, რომ დღეს საზოგადო ინტერესისა ან რაიმე ამხანაგობის შესახებ რომ დაიწყო ლაპარაკი, მაშინვე განსვენებულის დეპო-ბანკის საქმეს წამოგიყენებენ. „ჩვენ უსწავლელებს რომ გვეთი სასამართლო ჩაგვცვლიდა, საყვედურით ცხვირს გაგვიხვრეტდითო, აი, თქვენ, ნასწავლებმა კეთილს საქმეს რა დღე დაასწენეთო.“ აი პასუხი და პასუხიც სამართლიანი.

X

1883 წ. საგარეჯოში მოიწვიეს კერძო ფერშალი და ბოლოს საგარეჯოში მცხოვრებელმა პრავიზორმა ნიკ. ბაზიეროვმა საკუთარი აფთიაქიც დააარსა. აფთიაქს კარიანი კაშრობა ჰქონდა. არამც-თუ მარტო საგარეჯოელები, გარეშე სოფლებიდგანაც ბევრი მუშტარი ჰყავდა აფთიაქს, მეტადრე მაშინ, როდესაც დააარსეს სამკურნალო და დანიშნეს ექიმი ბეზირგანოვი სამის ფერშლით. 1893 წ. ბეზირგანოვი გადიყვანეს ქ. გორში და იმის ადგილას დანიშნეს ექიმად საგარეჯოში ახლა იაშვილი, რომელმაც ოთხის წლის განმავლობაში დიდი სახელი დაიმსახურა და მოიპოვა სიყვარული მკვიდრთა შორის თავისის უანგარო ხასიათით და საქმის კარგა ცოდნით. თანაგრძნობა ისეთი დიდი იყო ივრის ხევლებისა ექიმის მიმართ, რომ მუდამ დღე 60-80 ავადმყოფი იდგა სამკურნალოს კარებზედ და შველას შემწეობას მოელოდდა. კერძო წავალ-წამოსვლა ექიმისა საგარეჯოს გარეშემო სოფლებში ხშირი იყო, ყველა წოდებისა და შეძლების კაცთაგან. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ ჩვენ ერს უტყუარი აზრი შეუდგენია სამკურნალოს მეცნიერების შესახებ. თავისის პირდაპირის მოვალეობის გარდა ექიმი იაშვილი დაუღალავი მოღვაწე იყო: მისის მეთაურობით სართიჭალის ფოსტა დაარსდა, საგარეჯოს სამკითხველო წიგნთ საცავი გაფართოვდა. ზაფხულობით წარმოდგენები მუდამ მისის მეთაურობით იმართებოდა. ანგარიში აღარა აქვს კერძო კეთილ საქმეს და შემწეობის აღმოჩენას დაბალ ხალხში იაშვილისაგან.

აპრილის 13-ს შეიტყვეთ, რომ ექიმი იაშვილი თავისისავე თხოვნით გადიყვანეს ქ. დუშეთშიო. ეს ამბავი ელდასავით მოედო ივრის ხეობის სოფლებს, რომლის მცხოვრებლებსაც სამწუხაროდ დაკარგა ამ ამბის შეტყობა ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოებისა განურჩევლად. (ივრის ხეობაში მოსახლობენ, ქართველების გარდა, რუსები, ნემეცები, ბერძნები, მალაკნები და თათრები). ყველას გვეწყინა მისი გადაყვანა, რადგანაც არა მარტო ექიმს ვკარგავდით, არამედ კაცსაც. მისი მამაშვილური, ალერსიანი დარიგება და ავადმყოფების გულდადებით გასინჯვა დიდს შემწეობას აძლევდა ავადმყოფთ, რომელთაც მუდმივ ჩქარა და გაჯავრებული კილო ექიმისა მარცხებს უმეტეს და ისედაც დასუსტებულ ავადმყოფს ასუსტებს და უკარგავს მკურნალი სიყვარულსა და პატივისცემას.

კეთილ მოღვაწეობისათვის ივრის ხეობის ინტელიგენციამაც პატივი სცა ექიმ იაშვილს. 2 მაისს გაუმართა სადილი ს. საგარეჯოში და ცოლშვილით მოიწვიეს ექიმი. სადილზედ მრავალი სიტყვა ითქვა და მათ შორის სიტყვა მღ. ი. ქურხულისა იყო საგულისხმიერო და სავსე გრძნობით. სადილის შემდეგ ინტელიგენციამ ექიმი სართიჭალამდის გააცილა ცხენებით და ადიდებულ მდ. იორში თითქმის ხელით გადიტანეს დილიჟანი. უკანასკნელი გამოსათხოვებელი ვახშამი სართიჭალაშიაც გაიმართა და ბოლოს ღამის 12 საათზედ გამოეთხოვნენ საყვარელ ექიმს.

---

# ფელეტონი

**ნაწყვეტი**

—

გაზაფხულმა ააყვავა
ათასფერად მთა და ველი,
ჩემს გულში-კი დღესაც ისევ
ზამთარია შავი, ბნელი.
სული მიწუხს, ჰშფოთავს, ჰღელავს,
სევდა მარჩობს და ნაღველი,
მაგრამ მაინც არა ვკვდები,
გულის გაზაფხულს მოველი.

დ. მაჩხანელი

---

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ № IV 1898 წლისა

ჟურნალ „ჯეჯილის“ აპრილის ნომერში პირველს გვერდზედ მოთავსებულია ერთი სურათი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ახსნა-განმარტებას. ამ სურათს არც სხვა საკითხავ მასალასთან აქვს რამე კავშირი, ამის გამო ძალიან ხელოვნურ ნახატსაც რომ წარმოადგენდეს, მაინც, ცოტად თუ ბევრად, მოკლებული იქნება სრულს მნიშვნელობას საბავშვო ჟურნალში.

მთელი საკითხავი მასალა, რომელიც დასტამბულია აპრილის ნომერში, შეძლება შინაარსით გაიყოს სამ რიგად: ლექსები, ბელეტრისტიული წერილები და სამეცნიერო წერილები. ამ ნომერში სამი ლექსია დასტამბული, სამივეს შინაარსს შეადგენს გაზაფხულის სურათის აწერილობა. უმაღლესი ნიჭი ადამიანის ზნეობრივი მხარისა არის ესტეტიური გრძნობა, რომელიც მჭიდროდაა შეკავშირებული ადამიანის ყველა ზნეობრივ მხარესთან, ამიტომ ამ გრძნობის გახსნა-განვითარებას ადამიანში მოსდევს მისი ზნეობრივად ამაღლება, გაკეთილშობილება და ზნეობრივად გაფაქიზ-განსპეტაკება. როგორც სხვა გრძნობა, აგრეთვე ესტეტიური გრძნობაც ბავშვებს სუსტი და განუვითარებელი აქვთ თავდაპირველად. რა გზითა და რა საშუალებით შეიძლება ამ გრძნობის განვითარება ბავშვებში?—ერთ უპირველეს საშუალებად ბავშვებში ესტეტიურ გრძნობათა განვითარებისათვის, სამართლიანად აღიარებულია საბავშვო მწერლობა—ხელოვნურად და სინამდვილით დახატვა გარშემორტყმულის ბუნებისა, პოეზია, რომელსაც ძველ დროში პედაგოგიკის სადმრთო ნაწილს უწოდებდნენ და დღეს-კი უსამართლოდ ექცევიან ბევრგან სკოლებში, ოჯახებში, საზოგადოებაში, ხალხშიაც, სადაც ნათლად შენიშნება დღითი დღე დასუსტება სარწმუნოებრივის გრძნობისა საზოგადოების მატერიალურის მხრივ მიმართულებისა გამო. ამ უკანასკნელს შემთხვევაში პოეზია უფრო საჭირო ხდება იმ დანაკლისის შესავსებად, რომელიც რჩება სარწმუნოებრივი გრძნობისა და იდეალის დასაკლისის შემდეგ. ერთს ადგილას თავისს უკვდავს თხზულებაში დიდებული გენიოსი შექსპირი ამბობს: „უბედურია ის კაცი, ვინც ყურს არ უგდებს იმ ხმას, რომელიც გაისმის თითოეულის ჩვენგანის გულშიო“. მეორე შესანიშნავი მორალისტი ლამარტინი ამბობს: „პოეზია არას დროს არა კვდება, ის თანშეზრდილია ადამიანის სულთან და წარმოადგენს ერთს უსაჭიროესს და უკვდავს ნაწილს ჩვენის სულიერი ბუნებისას“. მართლაც, პოეზიას თავისის მომჯადოებელის ენით დიდი გავლენა აქვს ადამიანზედ, ის უღვიძებს ადამიანს მძინარე ძალას, მისის წყალობით უვიცი ხალხი იღვიძებს გონებითის ძილისაგან, რადგანაც პოეზია ახედებს თავისს თავზე, ჩასძახის იდეალურს სიტყვებს, ე. ი. ისეთს სიტყვებს, რომელშიაც იხატება ზნეობრივი სიმართლე, გამთბარი კაცობრიულის გრძნობით, უმღერის მას გრძნობას სიყვარულისას, სიმხიარულ-სიმწუხარისას, ჩივილ-სამდურავისას, წუხილ-იმედისას, ეჭვიანობას, რწმენისას, რომელიც ბუნდოვანად გაისმის ადამიანის საკუთარს სულში. პოეზია აღამაღლებს კაცობრიობას, აშორებს ადამიანს მის გამათახსირებელს, გაქსუებულს ანგარიშიან თავმოყვარეობას და ჰშველის იშვას ადამიანი კაცობრიობისათვის, რომ მართლა არსებობდეს ქვეყანაზედ, თუ არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს უსათუოდ შეგნებული სული, ხოლო ქონება სულისა ნიშნავს კაცობრიულს გრძნობის ქონებას, ცხოვრებას თავისთვისა და სხვისთვისაც, თავისის საკუთარის მე-ს გაფართოებას იმ საზღვრამდის, რომელშიაც მოქცეული უნდა იყოს—ოჯახიც, სამშობლოც, კაცობრიობაც, ბუნებაც და ღმერთიც. სამი ლექსი, რომელიც დასტამბულია „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერში, არ არის მოკლებული იმ ღირსებას, რომელსაც შეუძლიან აღძრას პატარა მკითხველებში ესტეტიური გრძნობა, სიყვარული გარშემორტყმულ გაზაფხულის ბუნებისა. ამ სამს ლექსში მხოლოდ უკანასკნელი ლექსის ერთი ტაეპი მიგვაჩნია უხერხულად:

„მზე გადიხრება ჩრდილოეთს, (?)
მის სხივნი გაცხოველდებიან,
და გასათბობა(დ)თ ცივ ქვეყნის
პირდაპირ დაეშვებიან“ (?)

მზე როცა დასავლეთისკენ გადიხრება და ჩრდილი აღმოსავლეთისკენ წარსდგება, ჩრდილოეთის მხარეს მზის სხივები უფრო ხვდება, მაგრამ ის სრულიად არ შეიძლება ითქვას, ვითომ ჩრდილოეთის მხარეში ტროპიკების ზევით მზე თავის სხივებს პირდაპირ ჰგზავნიდეს.

ბელეტრისტიულ წერილებში, რომელიც „ჯეჯილის“ ამ ნომერშია დასტამბული, ფრიად შესანიშნავია საბავშვო მოთხრობა ბ-ნის ვაჟა-ფშაველასი „ქუდოვანი“. მაღალის ნიჭით შემკული ავტორი ხსენებულის და სხვა მრავალ ღირს შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებისა, საოცარის ხელოვნებითა და ჩვეულებრივ ნიჭიერად უამბობს პატარა მკითხველებს თავ-გადასავალს ერთის უხეირო დიამბეგისას, რომელსაც „ჯეჯილის“ ბოლოშივე აკროსტიხში ასე ახასიათებს თითონ ავტორი „ქუდოვანისა“:

„დიდ-ფაშვიანი, თვალებ ბრიალა
იყო ერთ დროსა მსაჯული ჩვენი,
არ შეხედავდა მოჩივარს სწორედ
მრისხანე სახის მელურად მჩენი.
ბატონი კარგი: იმის მოწყალე—
ესტუმრებოდა რომელიც ძღვნითა,
გაამტყუნებდა ალალ-მართალსა
იგი შუბლ შეკვრით, მაღალი ხმითა“.

ჩვენ არ ვიკისრებთ ამ შესანიშნავ მოთხრობის შინაარსის გადმოცემას, მხოლოდ წრფელის გულით ვურჩევთ ყველას, როგორც დიდებს, ისე პატარებსაც თითონ წაიკითხონ და დასტკბენ ფრიად ნიჭიერის მწერლის ნაწარმოებით, რომლის მარტივი შინაარსი, მოთხრობის ზნეობრივი სწავლა თვალის წინ დაეხატება ყველა მკითხველს. ჩვენ მხოლოდ აქ მოვიხსენებთ ზოგიერთს საყურადღებო ღირსებას, რომლითაც შემკუ-

გამოთხოვების დროს ორთავე მხარეს ტირილი მოუვიდათ. „მშვიდობით, მმებო, არ მალმიძს სიტყვის თქმა, ეს პატივისცემა ჩემთვის დიდი ჯილდო არის; ღმერთმა ინებოს ჩემ შემდეგ ახალმა ექიმმა ერთი ორად მომეტებული სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახუროს. ბ-ნი იაშვილის მაგიერ დანიშნეს ექიმი თულუჯიანცი, ყმაწვილი კაცი, ჯანიდა და ღონით სავსე; როგორც ეტყობა, ეს ექიმი იმ კაცთაგანია, რომელთაც აზრად აქვთ ემსახურნენ სამშობლო ქვეყანას უანგაროდ. ინებოს ღმერთმა იაშვილზედ მეტი სიყვარული დაიმსახუროს და თანაგრძნობა ჩვენ შორის.

მღ. ნ. ლ.—ძე

—

**სოფ. ერედვი**, 20 მაისი. ჩვენს წინა წერილში ვთქვით, რომ თუ იმედმა არ გვიმტყუნა შემოდგომაზედ სკოლა გვექნებაო... მართლაც, გვექნება თუ არა ერედველებს სკოლა, საოცოა, მით უმეტეს, რომ აგერ გავიდა თითქმის ორს კვირაზედ მეტი და ამორჩეულნი კაცნი შენობისათვის ჯერ არავითარ ჩამი-ჩუმში არ არიან და როდის შეუდგებიან საქმეს, ღმერთმა უწყის. რაც შეეხება დაგროვილს მასალას, მისი მოგროვებაც საეჭვოა, რადგან მამასახლისი უნდება სხვა-და-სხვა საქმეს და ბოქაულის დასაქმებას.

როდის გვექნება სკოლა, ამისი დაჭეშმარიტებითი თქმა ძნელია, მხოლოდ არ იქნება ურიგო მივაქციო ყურადღება როგორც ერედველებისა, ისე სამრევლო სკოლის მზრუნველთა.

ამ რამდენისამე წლის წინად აპირებდნენ ეკკლესიის გალავანში შენობას, სადაც ბავშვებს ექნებოდათ შემოფარგლული, გალავან შემორტყმული ფართო ეზო. თუმცა საშუალ სოფელში არ არის, მაგრამ რაც უნდა იყოს, სხვა უადგილო ადგილას აშენებას სკოლისას ისევ გალავანში სჯობდა. ჯერ ერთი, ზემო დასახელებულის მიზეზისა გამო და, მეორეც, იმიტომ, რომ ნაკლებად დაუჯდებოდათ შენობა, რადგან მთელი უკანა კედელი შენობისა იქნებოდა გალავანი, რომელიც საგრძნობელს შეღავათს მისცემდა მასალის ყიდვასა და ხარჯში. რაც შეეხება ეხლანდელს ადგილს, სადაც აპირებენ შენობას, ე. ი. გალავან გარედ, მეტად მოუხერხებელი ადგილია როგორც თვით შენობისათვის, ისე მოსწავლეებისათვის. არა აქვს ერთი არშინი თავისუფალი ადგილი, რომ ბავშვმა თავისუფლად გაიაროს. ხევი, კლდე-ღრე ისეთი, რომ თავ-პირი უნდა იმტვრიოს ადამიანმა. მართალია, ერედველები ხარბდებიან იმას, რომ შენობა დაწყებული სასოფლო პურის ბეღლისათვის და იაფად დაგვიჯდებაო, მაგრამ, ჩემის ჭკუით, ტყუილი და ამაო ხარჯი იქნება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც მოგახსენეთ, მეტად მოუხერხებელია და საშინელი ვიწროობა და ბავშვებს-კი პატარა ფართო ადგილი სჭირიათ. მეორე, იქნება ღმერთმა ხელი მოგვიმართოს, შევიძლოთ და დღევანდელი სამრევლო სკოლა ორ-კლასიან ან სამეურნეო სკოლად გარდავაქციოთ. ამას დასჭირდება ფართო შენობა, და სადღა წავიდეთ, ან რად ჩავყაროთ ეხლა ორმოცი თუმანი ან მეტი ფული მოუხერხებელ და გამოუსადეგარს ადგილში?!. არა სჯობიან ეხლავე მოვიფიქროთ, მოვიაზროთ, ავიღ-დავიღოთ საქმე და სათანადო ადგილი ამოვარჩიოთ, რომ ბოლოს სანანურად არ გაგვიხდეს და არც ვიზარალოთ?!.

მართალია, ერედველები მეტად ღარიბ-ღატაკნი ვართ, არა გვაქვს იმდენი საშუალება, რომ რიგიანი ადგილი შევიძინოთ ჩვენით, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!. თუ-კი მართლა მოგვიწადინია სკოლის აშენება და შვილების აღზრდა, მადლის ჩადენას მარილიც მოვაყაროთ, თორემ დღეს შიშით და უძლურობით გაკეთებული საქმე ისეთივე უგემური იქნება, როგორც უმარილო შეჭამანდი!.. მაშ რა ვქნათო, მკითხავენ!?. აი რა: ქვეყანა დიდია და ამ დიდს ქვეყანაში მადლიანი ადამიანიც ბევრია. ჩავიცვათ რვანის ქალამნები, დავიჭიროთ რვანის ჯოხები, ვითხოვოთ, ნუ ვითაკილებთ, ქვეყანა ერთურთის შემწეობით გამოდის და ნუ-თუ ორასი კომლი ღარიბი ხალხი ქვეყანაში არ ვურევივართ და მოწყალის თვალით არ გადმოგვხედავენ?!. თითოეულმა ქართველმა რომ თითო კაპეიკი გვაჩუქოს ჩვენს ღარიბს ქოხს ააშენებს და თავის სახსენებლად უკვდავს ძეგლს აუშენებს!..

რაც შეეხება სკოლისთვის ადგილს, ორი ადგილი შეიძლება დავასახელოთ სათანადო, ერთი—ესრედ წოდებული: „მაისურაანთ“ უბანში მიწა სოფ. ნიქოზში მცხოვრებლის თავადის ზაქარია ბესარიონის ძის ფავლენიშვილისა, რომელიც საკმაო შეძლებული თავადია, უშვილო და, იმედია, თავისდა სასახელოდ დაგვითმობს. მეორე—ესრედ წოდებული „თარხნაანთ იქით ნაფუზარი“, კუთვნილი თავად ვასილ იოსების ძის ფავლენიშვილისა, რომელიც, მართალია, შვილიანია, მაგრამ საკმაო შეძლება აქვს ამასაც. ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, წლიური შემოსავალი აქ დასახლებულის მიწებისა არ აღემატება თითო თუმანს და ნუ თუ შეძლებულის თავადიშვილისათვის თუმანი წელიწადში გასაჭირია?!. ასე თუ ისე, ერთი თუმნის დანაკლისი არც ერთისათვის დიდი ზედნა არ არის და სასარგებლო საქმეს-კი დიდს შემწეობას მისცემენ და დაიდგამენ უკვდავ ძეგლს. ვიმეორებ, თუ მოწყალებას მოიღებენ, დიდად სამადლო საქმეს იზმენ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აქ მოხსენებულს ადგილებს მფლობელნი დაუთმობენ უსასყიდლოდ და თუ არა, იმ სიკეთეს მაინც უზმენ ხალხს, რომ შეაძლებინებენ დარიბთ იმისს შეძენას სკოლისათვის.

უოკელგვარი შემოწირულობა დიდის მადლობით მიიღება. აი ადრესიც, ვინც კეთილ ინებებს და მოგვაწვდის რასმე:

Цхинвалъ. Эредвскому священику от. Антону Ломаури и Ревазу Александровичу князю Павленишвили.

რ. ერედველი

# რუსეთი

—

განზრახვა აქვთ სრულიად გააუქმონ გარდასახადი საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ სამიწათ-მოქმედო იარაღებზედ.

— ნება დართულ იქმნა ყოველ სამასწავლებლო სემინარიასთან დაარსებულ იქმნას ორ-კლასიანი სასწავლებელი.

— განზრახვა აქვთ ახალი განსაკუთრებული ტანთ-საცმელი შემოიღონ სატყეო დაწესებულების მოხელეთათვის.

— მალე დაამთავრებს თურმე მუშაობას ის კომისია, რომელიც დაარსებულია გზათა სამინისტროსთან და რომელსაც მინდობილი აქვს რუსეთის რკინის გზებზედ სამგზავროდ უფასო ბილეთების მიცემის წესების გადათვალიერება და შემუშავება.

— სასულიერო უწყებამ ბრძანება დაჰგზავნა, რომ სამაზრო სამრევლო სასწავლებლების ზედამხედველთ ამ სასწავლებელთა დათვალიერების დროს უნდა ჰნახონ ხოლმე საერო განათლების სამინისტროს ქვემდებარე პირველ დაწყებითი სასწავლებლები და თვალ ყური ადევნონ საღმრთო წერილის სწავლებას ამ სასწავლებლებში.

— საერო განათლების მინისტრმა წინადადება მისცა მოსკოვის უნივერსიტეტის მთავრობას, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდგან დაწყებული მოსწავლეთა უნივერსიტეტში მიღების დროს ებრაელნი უნდა მიღებულ იქმნენ ყოველ ფაკულტეტზედ 3% ამ ფაკულტეტზედ მიღებულ სტუდენტებისა და არა საერთოდ უნივერსიტეტში მიღებულ სტუდენტთა რიცხვის, როგორც დღემდის იყო მიღებული და ეს წესი მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული სტუდენტთა ერთის ფაკულტეტიდგან მეორე ფაკულტეტზედ გადასვლის დროსაც. აგრეთვე ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტზედ სწავლა დამთავრებულნი ებრაელნი მიღებულ იქმნენ ხოლმე სამკურნალო ფაკულტეტზედ ამ წეს-რიგითაო.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** თუმცა დეპეშამ უკვე მოიტანა ამბავი, რომ სანტ-იაგოში ესპანიისა და შეერთებულის შტატების ესკადრებს შორის შეტაკება მოხდაო, მაგრამ წინანდელის დეპეშებით მოტყუებულ ზოგიერთ გაზეთებს არა სჯერათ და ეჭვის თვალით უყურებენ ამ ამბავს, ამის გამო გაზ. „Temps“-ი სწერს: „სანტ-იაგოში რომ შეტაკება მოხდა, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, რადგანაც, როგორც ესპანელნი, ისე ამერიკელნი ერთხმად აღიარებენ ამ ამბავს. საკვირველი მხოლოდ ის არის, როგორ დარწმუნდა ადმირალი შლეი, რომ სერვერის ესკადრა სანტ იაგოშია და სად და როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეთა ესკადრები. ამერიკელებს დიდი ხანია უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, სერვერის ესკადრა მართლა სანტ-იაგოშია თუ არა, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხეს; ნავთ-სადგურში შესვლა ვერ გაბედეს და შეუძლებელიც იყო, ხოლო ესპანელნი ნავთ სადგურიდგან ფეხს არ იცვლიდნენ და გარეთ არ გამოდიოდნენ. ამბობენ, რომ შლეიმ ხერხი იხმარა და ამ ხერხის წყალობით მახეში გააბა ესპანელნიო. ადმირალმა შლეიმ ხმა დააგდო, რომ სანტ-იაგის თავს ვანებებ და სხვაგან მივდივარო, ამასთან თავისი ესკადრა იქვე მახლობლად მიმალა. ესპანელებმა დაიჯერეს ეს ამბავი,—დეპეშაც-კი გაგზავნეს მადრიდში, რომ შლეის ესკადრა აქ აღარ არისო, და

---

ლია მოთხრობა „ქუდოვანი“ და რომლიდგანაც ცოტად თუ ბევრად შეგნებული მკითხველი ადვილად მიჰხვდება, თუ რა ნიჭით არის დაჯილდოვებული მოთხრობის ავტორი და რამდენად კარგად ესმის მას ბავშვის, პატარა მკითხველის პსიხოლოგია. ბავშვის პსიხოლოგიის მიხედვით მის საკითხავად მარტო მხატვრობითი აღწერა სინამდვილისა საკმარისი არ არის; ამასთან საჭიროა შინაგანი გაბრწყინვება, განათება რომელისამე სურათისა, რომ მკითხველს ადვილად შეეძლოს სინათლისა და ჩრდილის, კეთილისა და ბოროტის გარჩევა. ამ მხრივ ასში ერთს საბავშვო მწერალს თუ შეუძლიან გაატაროს ბავშვის გონებაში განსაზღვრული დედა აზრი. ამ სიძნელეს ყველა საბავშვო მწერლები ვერა ჰძლევენ. ამას ჰმოწმობს მთელის რუსეთის თანამედროვე საბავშვო მწერლობის მიმდინარეობაც. ვისაც გადაუთვალიერებია რუსების რვა საბავშვო დროგამოშვებითი გამოცემა, შენიშნავდა, რომ შესაფერისის ნიჭით აღსავსე საბავშვო მწერალი იშვიათი მოვლენაა. ეს არ შეგვიძლიან ვთქვათ ჩვენს მგოსანს ვაჟა-ფშაველას შესახებ, რომლის პოეზიას, ნაწარმოებს საბავშვოს თუ მოზრდილთათვის დაწერილს, დიდის ნიჭის ბეჭედი აზის. უმთავრესს პირობას საბავშვო მოთხრობებისას უნდა შეადგენდეს მოთხრობის სიცხოველე, დედააზრი, იდეა და მისი განხორციელება ცოცხალის გამოხატულებით, ხშირი ცვლა მოქმედებისა და სურათებისა, რადგანაც როგორც პოეტის, ისე ბავშვის გონებაში განმსჭვრეტელობა (созерцательность) უფრო სჭარბობს და ბავშვებიც პოეტებივით აზროვნობენ სურათებით (образами). ამ თვალთა ხედვის ისრით რომ შევხედოთ ვაჟა ფშაველას მოთხრობას „ქუდოვანს“, ჩვენ წინ ჩნდება ყოველის ღირსებით შემკობილი საბავშვო მწერალი, რომელიც, „ჯეჯილის“ მკითხველთა სამწუხაროდ, იშვიათად სჩანს „ჯეჯილის“ ფურცლებზე. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ქუდოვანი, რომელიც ხალხურის მასალით არის შეზავებული, შეადგენს მთელს პოემას, მშვენიერის ქანდაკებით მოკაზმულს, რომელშიაც ყველაფერი საინტერესოა, ყველაფერი ჰხიბლავს პატარა მკითხველებს, ხელის გულივით უშლის თვალ წინ მდიდარს ბუნებას მთა-ბარისას, მოკლედ და მოჭრით, სავსებით უხასიათებს მომქმედთა და ცხოველთ, რაც ვერ ძალ-უძს ვერც ერთს ფიზიოლოგს. ამისთანა მაღალის ღირსების მოთხრობების ხშირად წერით და ბეჭდვით ბ-ნ ვაჟა-ფშაველას დიდნი მადლიერნი იქმნებიან არა მარტო „ჯეჯილის“ მკითხველნი და თანამედროვე ახალგაზდობა, არამედ საზოგადოება და შთამომავლობაც.

ბელეტრისტიულ წერილის რიცხვს „ჯეჯილში“ ეკუთვნის აგრეთვე მეორე მოთხრობაც, სახელდობრ: „ქალაქელი ძმია“, რომელიც ჯერ დასრულებული არ არის და ამის გამო ჯერ-ჯერობით არაფერს ვიტყვით.

სამეცნიერო, ანუ სასწავლო მასალას „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერში შეადგენს: „ქრისტეს პერანგი“ (კვართი), „ფიზიოლოგიური წერილები“ (წერილი მეორე), „ხვლიკი“ და „ჭინჭარი“. ცნობები ქრისტეს კვართის შესახებ მეტად მარტივად და ადვილად გასაგებად არის გადმოცემული. მოთხრობის ავტორი ისე ლოგიკურად და მწყობრად უამბობს პატარა მკითხველებს ქრისტეს პერანგის ამბავს, მცხეთელ ურიის ელიოზის, მისის დის სიდონიას და დედის ღრმა სარწმუნოებრივ გრძნობას, რომ იშვიათი მკითხველი იქნება, რომლის გულშიაც არ განილვიძოს ამგვარმა სარწმუნოებით აღელვებამ. ეს მოთხრობა ქრისტეს კვართის შესახებ უერთდება წინანდელ მოთხრობას წმინდა ნინოს შესახებ, რომელიც „ჯეჯილის“ პირველ ნომერში იყო დასტამბული, ამით „ჯეჯილის“ მკითხველებს ეძლევათ შემთხვევა მოიგონონ წინად წაკითხულიც, რომელიც უფრო დაამახსოვრდებათ, ვიდრე ნაწყვეტ-ნაწყვეტი და უკავშირო ცნობები.

მოთხრობა ხვლიკის შესახებ კარგია. ამ მოთხრობის მკითხველები ადვილად შეითვისებენ საზოგადოდ ხვლიკის ცხოვრების ამბავს ქვეყნად გაჩენიდგან უკანასკნელ დღემდის. ისეთს სამეცნიერო მოთხრობას, როგორც ცხოველების აღწერილობაა, შესაფერისად უხდება ისეთი კილო, რომლითაც მოთხრობილია ამბავი ხვლიკის ცხოვრების შესახებ. მხოლოდ ამ მოთხრობას აკლია გარეგანი აწერილობა ხვლიკისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ბავშვებისათვის საგნების დაკვირვებით შესასწავლად.

წერილში „ჭინჭარი“ ავტორი ეუბნება პატარა მკითხველებს: „ჭინჭარი გამოსადეგი მცენარეა, — იმისას აკეთებენ ქაღალდებს და სხვა და სხვა ქსოვილებს, ჩვენში-კი ჭინჭრისას თუ მოხარშვენ მხალს, თორემ სხვაფრივ არაფერში არ იციან მისი გამოყენებაო“. აქედგან სჩანს, რომ ჩვენებურის ჭინჭრიდგან ბევრი სხვა-და-სხვა ქსოვილების გაკეთება შეიძლება, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ამის გამოყენება. ჩვენ ქართველები რომ საზოგადოდ მოკლებულნი ვართ სამეურნეო ცოდნა-განათლებას,—ცხადია, მაგრამ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენებურის ჭინჭრისგან ვერაფერი ქსოვილი ვერ გაკეთდება. ალალდი, ქსოვილები და სხვა რამ კეთდება ესრედ წოდებულ ჩინურის ჭინჭრისაგან, რომლის თესვაც ზოგიერთ ადგილას კერძო მემამულეებმა ჩვენშიაც შემოიღეს. რაც შეეხება მეორე ნაწილს ამ მოთხრობისას, რომელშიაც „ჭინჭრის“ ავტორი უამბობს პატარა მკითხველებს ჭინჭრით დასუსხვის ამბავს, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ნაწილი მოთხრობისა უფრო თვალსაჩინოდ და მარტივად არის მოთხრობილი.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯეჯილში“ ბოტანიკურ წერილების ავტორი, დიდის ხნის უცხო ქვეყნებისაკენ გასეირნებისა და იქაურ მცენარეთა აღწერის შემდეგ, უკვე დაუბრუნდა ჩვენს კურთხეულს ქვეყანას და დაიწყო საუბარი ჭინჭრიდგან. ამის შემდეგ მაინც იმედია პატივცემული ავტორი უცხო ქვეყნებს ჯერ ჯერობით თავს დაანებებს და ადგილობრივის მცენარეების შესახებ გაჰმართავს საუბარს პატარა მკითხველებთან.

საზოგადოდ „ჯეჯილის“ მეოთხე ნომერს სიამოვნებით წაიკითხავს ყველა მკითხველი და ამ წაკითხვიდგან გამოიტანს სასურველს საზრდოს, როგორც ზნეობითად, აგრეთვე გონებით განსავითარებლად, რაც სასახელოა, როგორც რედაქციისა, აგრეთვე „ჯეჯილის“ თანამშრომელთათვისაც.

ლ. ბოცვაძე

ნავთ-სადგურიდგან რამდენიმე გემი გაგზავნეს ამის შესატყობათ. შლეისაც ეს უნდოდა, დანახა თუ არა გემები იმ წამსვე ყუმბარები დაუშინა და უკუ აქცია. ამ რიგად შლეი დარწმუნდა, რომ სერვერის ესკადრა მართლაც სანტ-იაგოშია. ასეა თუ ისე, ამ შეტაკების შემდეგ შლეიმ ზღვათა დეპარტამენტისაგან ბრძანება მიიღო, სანტ-იაგოს არ გასცილდე, სერვერს უდარაჯე და ეცადე როგორმე ამოსწყვიტო იმის ესკადრა, რომ შემდეგ საქმე მხოლოდ ესპანიიდგან ახლად გამოსულ ესკადრასთან ღა გვქონდესო."

— ამავე დროს მთავრობამ, „Temps"-ისავე სიტყვით, მეორე ბრძანება გაუგზავნა გენერალ შეფლერს, შენი ჯარი, რომელიც ათი ათასი კაცისაგან შესდგება, გემებზედ დასხი და კუბაში წასასვლელად მოამზადეო. ამ ჯარს სამპსონის ესკადრა გაჰყვება თან. როგორც ამბობენ, შეფლერის რაზმს სანტ იაგოს მახლობლად გადასხამენო. გაზეთი „Herald"-ი უმატებს, რომ რა წამსაც შეფლერის ჯარს გადასხამენ კუბაში, იმ წამსვე მთავრობა სხვა ჯარს გაგზავნის ჰავანაში გადასასხმელადაო. მთავრობას აქნამდის კუბის ჰავისა ეშინოდა და ჯარს ვერა გზავნიდა იქ, ეხლა-კი გადასწყვიტა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქციოს და რაც შეიძლება დააჩქაროს კუბის დაპყრობაო.

— ჰავანიდგან იუწყებიან, რომ მცხოვრებელნი თავს ანებებენ ქალაქს და სოფლებისაკენ მიეშურებიანო. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ქალაქს სურსათი შემოაკლდა და მრავალი შიმშილით იხოცებაო.

— ამას წინად გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ ერთმა ამერიკელმა გვარად გოლლანდმა ისეთი გემი ააგო, რომელსაც თავისუფლად შეუძლიან სიარული წყალ-ქვეშაო. ეხლა იუწყებიან, გოლლანდმა სთხოვა მთავრობას, ნება მომეცით ჩემის გემით სანტ-იაგოს ნავთ-სადგურში შევიდე და იქ სერვერის ესკადრა ავაფეთქოო. ამ საქმეს სულ რამდენისამე საათის განმავლობაში მოვიყვან სისრულეშიო.

## დამაკვირდი

ძაღლი უფრო საიმედოა და ერთგული მეგობარზედ, თუმცა მეგობართა შორისაც ცოტა არ არის ძაღლი.

!

* * *

რავდენ მძლო, ვსცთებოდი.

წმ. დავით აღმაშენებელი

* * *

უკეთუ არა ჰქონს ხელოვანსან ნივთი შემსგავსებული საქმისა თვისისა, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალებაჲ საქმეთა თვისთა.

გ. მ. ცხ. ალმწერელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის ერთს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო ცნობა შესახებ იმისა, რომ სხვა-და-სხვა მწერი, როგორც ვირთაგვები, ადამიანზედ უფრო ადრე ხდებიან ავად შავის ჭირით და იხოცებიანო. შავის ჭირითვე ავადა ხდებიან აგრეთვე ჭიანჭველები, რომლებიც სახლში ადვილადა მრავლდებიან და ეტანებიან ყოველ გვარ ტკბილს საჭმელს. გაზეთ „Times"-ის ერთი კორესპონდენტი სწერს: ჩემს ოთახში გაჩნდნენ ჭიანჭველები, რომლებიც იკვებებოდნენ ჩემის სადილიდგან გადარჩენილ საჭმელით და, სწორედ მოგახსენოთ, მე სრულებით არ მაწუხებდნენ. ერთხელ დილით დავინახე, რომ ჭიანჭველები დიდს ამბავში და ფაცა-ფუცში იყვნენ, გამოჰქონდათ სოროდგან ღამე მომკვდარი ჭიანჭველები და ერთს ალაგას აქუჩებდნენ. მერე გამოიტანეს სოროში შენახული მარცვლები ბრინჯისა, დააწყეს ერთს ალაგას და შემდეგ ოთახის მეორე კუთხეში გადასახლდნენ და იქ გაიკეთეს ბინა. აქაც ისევ ის ამბავი მოხდა, რაც ძველს ბინაზე. სოროდგან გამოტანილს მარცვლებს არც ერთი ჭიანჭველა არ მიეკარა, თითქოს ყველამ იცოდა, რომ ეს მარცვლები საშიშიაო. ამ გვარად ჭიანჭველებმა რამდენიმე ბინა გამოიცვალეს და ბოლოს სულ გაიხვეტნენ ოთახიდგან. ვიდრე კორესპონდენტი ჭიანჭველებს აკვირდებოდა, გონგ-კონგში ამბავი მოვიდა, ქალაქის მახლობლად შავი ჭირი გაჩნდაო, თვით გონგ-კონგში ჯერ ჯერობით შავი ჭირი არა ყოფილა გაჩენილი, მაგრამ ვირთაგვები-კი დაიხოცნენ და ქუჩაში ეყარნენ.

## რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობიან?

Водопадъ—შხივი. ეს სახელი იხმარება სვანეთსა და ლეჩხუმში და მკვიდრნი უწოდებენ იმ ადგილს, სადაც რამდენსამე საჟენის სიმაღლიდგან ხევის წყალი გადმოჰქუხსო, სწერს პორფირე ფანჯავიძე.

ჩემის აზრით Водопадъ—ი ჰნიშნავს იმ ადგილს, სადაც რამდენსამე საჟენის სიმაღლიდგან წყალი გადმოჰქუხს, და შხივი-კი სულ სხვა ადგილს აღნიშნავს. შხივს ეძახიან იმისთანა ადგილს მდინარისას, სადაც მდინარე თეთრადა სდუღს და ქაფად იქცევა ხოლმე. შხივი შეიძლება იმ მდინარეშიაც იყოს, რომელიც სულ ვაკეზე მიმდინარეობს. ვაკეზე მიმდინარე წყალში თუ სადმე ან ქვა ჰყრია, ან კლდის ნაპრალებია, წყალი ძალზე ასკდება, თეთრადა სდუღს და ქაფად იქცევა, სწორედ ამისთანა ადგილს მდინარისას ჰქვია შხივი, Водопадъ—კი სულ სხვაა. აქ ხშირად იტყვიან ხოლმე, ესა-და-ეს კაცი ვიდრე შხივში არ ჩაიტანა მდინარემ, ვერ დაარჩოო. რაჭაში იმისთანა ადგილს, როგორც არის Водопадъ—ი ეძახიან საჩქეფს, როგორც მთიულეთში, რაჭაშიაც ქართული ენა ჯერ შეუმწიკვლელია უცხო ენის არევით და ბევრი იმისთანა ქართული სიტყვაა აქ, რომელსაც თითქმის არც ერთ ქართულ ნაწერებში არ შევხვედრივარ.

ვანო ჭიჭინაძე

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები:

1, „მარო", დრამის ნაწყვეტი— დ. მაჩხანელისა.

2, ლექსთა კრება დღიურ ვარამზედ, თქმული სოგრატ ხუსკივაძის მიერ.

3, „Дзеглисъ цера (хартія) Грузинскаго царя Давида Ш Возобновителя", —ანდრონიკე გძელიშვილისა.

4, ცხოვრება ქალწულ მოწამისა და მოციქულთა სწორისა თეკლასი, მ. შარაძის მიერ გადმოღებული.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 მაისი

**ნიუ-იორკი.** სანტ-იაგოსთან გუშინ მომხდარ ბრძოლის შესახებ შემდეგს ცნობებს იუწყებიან. დიდი ბურუსისა და წვიმის დროს ამერიკელებმა დაიწყეს სროლა. ესპანელებმა პასუხი გასცეს, მაგრამ კარგად ვერ ისროდნენ. შლეის გემები უფრო ახლოს მივიდნენ. „ბრუკლინისა" და „ტეხასის" გემებიდგან სროლისა გამო ცეცხლი წაეკიდა კასტელოს ბატარეას. „ნიუ იორკმა" და „ნიუ-ორლეანმა" გააჩუმეს აღმოსავლეთისაკენ მდებარე სიმაგრე გასტრო და ყუმბარები დაუშინეს ნაპირებს. მერე ცეცხლი წაეკიდა კატალინის სიმაგრეს, რომელმაც აგრეთვე შესწყვიტა სროლა. დილის 10 საათიდგან ესპანელებმა სროლა შესწყვიტეს. სროლა შესწყვიტა აგრეთვე სამპსონმაც. არც ერთი გემი ამერიკელებისა არ არის დაზიანებული და არც ერთი კაცი არ არის დაშავებული.

**პარიჟი.** სენატი შეუდგა ღალატისა და ჯაშუშების შესახებ პროექტის განხილვას. მორელი იცავს პროექტს, რომლის ძალით სასჯელი უნდა მიემატოს ჯაშუშსა და მოღალატეს, განსაკუთრებით თუ მოღალატე ან ჯაშუში ფრანცი აღმოჩნდა; მოღალატე სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

**ნიუ-იორკი.** კაპ გაიტიდგან შემდეგს ცნობებს იუწყებიან სანტ იაგოსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ. ათი ჯავშნიანი გემი დაუდიოდა სიმაგრეებთან და მხოლოდ დიდრონ ზარბაზნებიდგან 1500 ყუმბარაზე მეტი დაუშინეს ნაპირებს. ერთის საათის შემდეგ გემები მიუახლოვდნენ სადგურის შესავალს და ჰნახეს, რომ „რეინა მერცედესი" ემზადება დაღუპულ გემის ასაფეთქებლად. „ორეგონიდგან" გატყორცნილი ყუმბარა მოხვდა „რეინა მერცედესს", მოჰგლიჯა გემს ზემო ნაწილებ და რამდენიმე კაცი დაჰხოცა. სერვერიმ ბრძანება გასცა ხალხი გადავიდეს ამ გემიდგანაო. ყველა სიმაგრენი, მათ შორის მოროც, დანგრეულია. ნაშუადღევს ესპანიის ქვეითა და მხედართა ჯარი დაეცა ამერიკელებს, რომლებიც ნაპირზედ გამოვიდნენ, ბაიტიკი-ერთან. შეამბოხეთა დახმარებით ამერიკელებმა საუკეთესო ადგილი დაიჭირეს და განდევნეს ესპანიელნი, რომელთაც დიდი ზიანი მიაყენეს. ეხლა ნაპირზედ დიდი ზარბაზნები გადმააქვთ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის კრების გადადებას დიდს საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ. ჰფიქრობენ, რომ სამშაბათამდე მთავრობა საქმეს გადასწყვეტს.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ მაკ-კინლეიმ განიხილა რა მოხსენება მაილსისა სამხედრო სამზადისის არა კმასაყოფელ მდგომარეობის შესახებ, პასუხი მოსთხოვა სამხედრო მინისტრს. მაკ-კინლეიმ კაბინეტში ლაპარაკი ჩამოაგდო პასუხის შესახებ.

**ჰავანნა.** სანტ-იაგოდგან მოსულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ ესპანიელებმა უკუ აქციეს ამერიკელები, როდესაც ისინი თავს დაესხნენ. ციხე-სიმაგრენი მციეროდნად არის დაზარალებული.

**მადრიდი.** პალატა. სლვათა მინისტრი კითხულობს დეპეშას, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ამერიკის ათმა გემმა ყუმბარები დაუშინეს სანტ-იაგოს ნაპირსა და ესპანიელების გემებს, რომლებსაც რამდენიმე ყუმბარა მოხვდა. „რეინა—მერცედესის" გემზე 10 კაცი მოკლულია და 12 დაჭრილი. ესპანელთა ჯარში მოკლულია 1 ოფიცერი, დაჭრილია სამი და 17 ჯარის-კაცი. ზიანი დიდი არ არის. ლონარესმა უკუაქცია ამერიკელები, რომელნიც სცდილობდნენ საგვადაროში გადმოსვლას.

**გონკონგი.** მანილიიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მეამბოხეთა შორის კვლავ უთანხმოება სუფევს. მეამბოხენი ჰხოცავენ კუნძულის მცხოვრებლებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომელმაც ამ მოკლე ხანში დახმარება გამიწია და გამომიგზავნა ორმოც-და-ცამეტი მანეთი 70 კ.

სტუდ. კიევის უნივერსიტეტისა მიხეილ ჩხენკელი


# განცხადებანი




(1—.—11)

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო წლიური კრება

ქართველთა სააღებ მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა".

ეს კრება, რადგან პირველი არ შესდგა, კანონიერი იქმნება მიუხედავად იმისა, თუ რავდენი დაესწრობა მას წილის პატრონი (იხ. წესდ. § 21)".

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

(6—5)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარალის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—6.—7)



ვერცხლი



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პირველ მაისიდამ გადატანილია იარმუკიდგან მიხეილის ქუჩაზედ, სავსაავამტყოფოპირდაპირ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97. და მეტად განუყოფლება სადებავებისა (კრასკებისა) ავლაბარშია, სირაჯხანის თავში. იქვე ალაგას საუკეთესო მზადდება ყოველნაირი ზეთის კრასკები და იყიდება დაშორებით სხვა წლებზედ იაფ ფასად. აგრეთვე ვყიდით ლიტოგრაფიის კრასკებს როგორც გალესილს, ისრე მშრალს, მარას, ბრონძს-კისტებს და სხვა, აქვე ვიღებთ ყველა ნაირად სახლების შეკეთებას, (რემონტს) როგორც ტფილისში, ისე სხვა საქართველოს ქალაქებში, მხოლოდ რკინის გზის სადგურებს მახლობლად, საქონელი სხვა ადგილებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას დადებით.

(40—6.—2)